სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

03/07/2025

MES 8 25 0000815552

ბრძანება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამის "დასაქმებულების დაცვა პროფესიული დაავადებებისაგან" ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის 2025 წლის 2 ივლისის №803397 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების'' მე-12 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის'' მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ:402019917) პროფესიული მომზადების პროგრამა "დასაქმებულების დაცვა პროფესიული დაავადებებისაგან" **(დანართი)**.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02345	დასაქმებულების დაცვა პროფესიული დაავადებებისაგან	პროფესიული მომზადება	მეოთხე	6	ქართული	40	თემქის დასახლება, მე-11 მ/რ მე-3 კვარტ. ნაკვეთი 01/10

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2025 წლის 6 ივნისის

ბრძანებით N90

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: დასაქმებულების დაცვა პროფესიული დაავადებებისაგან
პროგრამის სახე: ☒ პროფესიული მომზადება ☐ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ 2 ☐ 3 ☒ 4 ☐ 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 6

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 მაქსიმალური 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზანი: მოამზადოს მსმენელი იმ მიმართულებით, რომ დასაქმების ადგილზე შექმნას ადამიანისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემო და შეძლოს პროფესიული დაავადებებისგან თავის დაცვა, პრევენცია უსაფრთხო სამუშაოს გარემოსათვის.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დახასიათება;
2. საჭმლის მომნელებელი სისტემის დახასიათება;
3. სუნთქვის ორგანოთა სისტემის დახასიათება;
4. გრძნობათა ორგანოების დახასიათება;
5. ზედა კიდურების პროფესიული დაზიანებების შეფასება;
6. ზედა კიდურების პროფესიული დაზიანებების რისკის კონტროლი;
7. ხელითი შრომით და მექანიკური მოპყრობით გამოწვეული საფრთხეების შეფასება;
8. ხელითი შრომით და მექანიკური მოპყრობით გამოწვეული საფრთხეების რისკის კონტროლი.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

მოდულები:

1. ანატომიის საფუძველები;
2. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანების საფრთხეები და რისკის კონტროლი.

პროგრამის მოკლე აღწერა: აღნიშნული მოკლევადიანი სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს კადრების მომზადებას მოკლე დროში. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით საჭირო უნარებისა და კომპეტენციების

შეძენას და გაუმჯობესებას, რაც საჭიროა კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებისთვის. წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 6 კვირა და 120 საათი, ხოლო კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა შეადგენს 20 საათს. პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელს დახვდება მატერიალური თუ საბიბლიოთეკო რესურსითა, სრულად აღჭურვილი სასწავლო დაწესებულება და პროგრამას შეასწავლიან მრავალწლიანი გამოცდილების კვალიფიციური განმახორციელებელი პირები.

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც ექნება სრული ზოგადი განათლება. პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	**საყრდენ-მამოძრავებელი აპარატი.** ადამიანის ორგანიზმის ჩონჩხის ზოგადი დახასიათება. ძვლოვანი სისტემა. ძვლების კლასიფიკაცია. ძვლის თანმხლები ანატომიური ელემენტები: ძვლისაზრდელა. ძვლის ხრტილოვანი ქსოვილის დანიშნულება ზრდა - განვითარებაში. ძვლის მოტეხილობა და შეხორცება. **ხერხემლის სვეტი.** მალის აგებულება. კისრისა და გულმკერდის მალების განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. მალთშუა ხრტილის აგებულება და დანიშნულება. ხერხემალი მთლიანად. **გულმკერდის ჩონჩხი.**	1,2		ლექცია, პრაქტიკული დავალება	გამოკითხვა	A, C

	გულმკერდის ღრუ. ნეკნები, მკერდის ძვალი - მათი დანიშნულება გულმკერდის ყაფაზის შექმნაში. **ზედა კიდურების ჩონჩხის სქემატური განხილვა.** ზედა კიდურების სარტყელი (ბეჭისა და ლავიწის ძვალი) და თავისუფალი ნაწილი: მხრის, წინახმრისა და მტევნის ძვლების მორფოლოგიური განხილვა. **ქვედა კიდურების ჩონჩხის სქემატური განხილვა.** ქვედა კიდურების სარტყელი - მენჯი. დედაკაცისა და მამაკაცის მენჯის ღრუს განმასხვავებელი ნიშან-თვისებები (სქესობრივი დიმორფიზმი) **პირის ღრუს ანატომია**					
2	მაგარი და რბილი სასა, ღრძილები, კბილები, და სანერწყვე ჯირკვლები - მათი ანატომიური აგებულება **სასუნთქი სისტემა** სასუნთქი სისტემის ზოგადი დახასიათება; ცხვირის ღრუ, ჰაერგამტარი გზები: ხორხი , სასულე და ბრონხები. ფილტვის ანატომია. ბრონქული ხე, ალვეოლები. **სუნთქვა.**	2,3		ლექცია, პრაქტიკული დავალება	გამოკითხვა	A, C
3	აირთა ტრანსპორტირება ფილტვებში და ქსოვილებში.	3, 4			გამოკითხვა	A, C

	გრძნობათა ორგანოები (სენსორული სისტემები). მხედველობს ორგანო. თვალის კაკალი. მხედველობის ორგანოს ფიზიოლოგია. აკომოდაცია (სიბეცე, შორსმხედველობა, ასტიგმატიზმი). სმენის ორგანო-ყური. ბგერითი რხევების გადაცემა და აღქმა. ვესტიბულური აპარატი. კანის აგებულება და დანიშნულება. ტკივილი. ტკივილის ეტაპები.			ლექცია, პრაქტიკული დავალება		
4	**ზედა კიდურების პროფესიული დაზიანებები** • საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავა-დებების მნიშვნელობა და ზედა კიდურების პროფესიული დაზიანებები; • რუტინული ოპერაციების მაგალითები; • სამუშაო ადგილის თანამშრომლების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება;	5		ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C
5	• სამუშაო ადგილების და არასწორად დაგეგმილი ამოცანების შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევები. • საოფისე ჯდომითი სამუშაოები; • საოფისე ჯდომითი სამუშაო ადგილის შეფასება; • ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევები ჯდომითი სამუშაოს დროს; • ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევების ზრდის ფაქტორები; • შესაბამისი კონტროლის ზომები.	5,6		ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C
6	• ხელითი შრომით გამოწვეული საფრ-თხეების და დაზიანებების ტიპები; • ხელით შრომით გამოწვეული საფრთხეების შეფასება; • ხელითი შრომით გამოწვეული საფრთხეების შემცირება; • ხელითი შრომით გამოწვეული საფრთხეები;	7,8		ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C

	• ხელითი შრომით გამოწვეული საფრთხეების შეფასება; • ხელით ოპერირებადი ტვირთის ასაწევი დამხმარე საშუალებები და აღჭურვილობა;					

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული მომზადების პროგრამა "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები"	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	**სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი**
ანატომიის საფუძვლები - 0731101	1. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დახასიათება; 2. საჭმლის მომნელებელი სისტემის დახასიათება; 3. სუნთქვის ორგანოთა სისტემის დახასიათება; 4. გრძნობათა ორგანოების დახასიათება;
საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანების საფრთხეები და რისკის კონტროლი - 0731113	1. ზედა კიდურების პროფესიული დაზიანებების შეფასება; 2. ზედა კიდურების პროფესიული დაზიანებების რისკის კონტროლი; 3. ხელითი შრომით და მექანიკური მოპყრობით გამოწვეული საფრთხეების შეფასება; 4. ხელითი შრომით და მექანიკური მოპყრობით გამოწვეული საფრთხეების რისკის კონტროლი.